

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

A handwritten signature in black ink, appearing to read "I. Javakhishvili".

კახაბერ კირტავა

19 „ივნისი“ 2013 წელი

2 გვ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტრო

აუდიტის ანგარიში № 5/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	5
პირობითი მოსაზრება	13
სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.....	13
ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები.....	13
შიდა კონტროლების სისუსტეები:	13
ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები	14
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გადასახადი	14
საწარმოთა მართვა	14
პრივატიზაცია.....	16
პრემიები.....	17
წინასწარ გადახდები.....	17
სახელმწიფო შესყიდვები.....	18
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა.....	18
ანგარიშგების ფორმები	22

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა
2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
ხელმძღვანელობას:

მინისტრს

დავით ბალაძეს

მინისტრის მოადგილეს

რამაზ ბოლქვაძეს

მინისტრის მოადგილეს

ბესიკ ბოლქვაძეს

აუდიტის ანგარიში

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა: სამინისტროს მიერ 2012 წლის გაწეული საქმიანობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსის, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების, რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2012 წლის ნაერთი ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დანიშნულებისამებრ წარდგენაზე, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 15 აპრილის N241 ბრძანების, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების(ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთივის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისა თუ არა შიდა კონტროლი ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტურობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განხორციელებისათვის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მიღებული სესხის აუთვისებელ ნაწილზე, შესაბამისი სტრუქტურების არაეფექტური მუშაობის შედეგად, ვალდებულების გადასახადის სახით გადახდილია 85,0 ათასი ლარი. მათ შორის 2011 წელს - 51,0 ათასი ლარი და 2012 წელს - 34,0 ათასი ლარი.

- 2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ სასესხო ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (ბანკი) და საქართველოს შორის, რომლის თანახმად ბანკი დათანხმდა საქართველოს გამოუყოს 3000,0 ათასი ევრო. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად 2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“

განხორციელებისა და მხარდაჭერის ხელშეკრულებას, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, თვითმმართველ ქალაქ ბათუმს, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ბანკს შორის და ამავე დღეს გაფორმდა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელების ხელშეკრულება შპს „ჰიგიენა -2009“-სა და ბანკს შორის. აღნიშნული ხელშეკრულებების გათვალისწინებით 2010 წლის 20 ივლისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან, სასესხო ხელშეკრულებითა და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის, უნდა მიეღო 3000,0 ათასი ევრო. აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, სესხის მიმღები აუთვისებელ ნაწილზე იხდის ვალდებულების გადასახადს წლიური 0,5%-ის ოდენობით.

პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 20 ივლისის N58 განკარგულების საფუძველზე კომისიის შექმნის მიუხედავად, ვერ მოხერხდა საპროექტო დოკუმენტაციის სამუშაო ვარიანტის შემუშავება, რის გამოც, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სესხის სახით გამოყოფილი 3000,0 ათასი ევროდან თანხის ათვისება საერთოდ არ მომხდარა და ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად აუთვისებელ ნაწილზე ვალდებულების გადასახადის სახით გადახდილია 85,0 ათასი ლარი. მათ შორის 2011 წელს - 51,0 ათასი ლარი და 2012 წელს - 34,0 ათასი ლარი.

2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შედეგად არამიზნობრივად გახარჯულია 155,0 ათასი ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში 334,1 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 28 ივნისის N109 განკარგულების საფუძველზე, აჭარის საავიაციო ბაზრის პოტენციალის ანალიზის, ბიზნეს გეგმის შემუშავების, ახალი ავიაკომპანიის რეალიზაციის გეგმის თაობაზე მაღალკვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით, შპს „LUFTHANSA CONSULTING GMBH“-თან, 2012 წლის 6 ივლისს, გამარტივებული შესყიდვის ფორმით¹, გაფორმდა ხელშეკრულება რომლის ღირებულებაც 310,0 ათასი ევროს შეადგენდა. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სამი ეტაპი, პირველი ეტაპი არის ბაზრის შეფასება, მეორე ეტაპი - ბიზნეს გეგმის შედგენა და მესამე ეტაპი - შესრულების დაგეგმვა. ამასთან ხელშეკრულების N1 დანართის 9.4 პუნქტის შესაბამისად, პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით, ბათუმში ავიაკომპანიის დაფუძნების არაეფექტურად ცნობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო კონსულტანტისათვის მხოლოდ წინასწარ გადახდილი თანხის 155,0 ათასი ევროს ანგარიშით ხელშეკრულების შეწყვეტა.

პირველი ეტაპის სამუშაოები მიღებულია 2012 წლის 24 სექტემბერს, სადაც აღნიშნულია, რომ ადგილობრივი ბაზრის მონაცემების გათვალისწინებით, ბათუმში

¹ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2557 განკარგულება.

ავიაკომპანიის დაარსებისათვის ჩადებული ინვესტიციები ნაკლებ ეფექტური იქნებოდა. მიუხედავად ამისა, არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულების N1 დანართის 9.4 პუნქტი და საკონსულტაციო ფირმას ნება დაერთო გაეგრძელებინა მეორე და მესამე ეტაპის სამუშაოები. შესაბამისად გადახდილი იქნა ხელშეკრულებით განსაზღვრული, სამუშაოთა მეორე და მესამე ეტაპის შესრულებისათვის გათვალისწინებული 155,0 ათასი ევრო, რაც შესაბამის პერიოდში არსებული კურსის გათვალისწინებით 334,1 ათას ლარს შეადგენს.

3. საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილების შედეგად კერძო საკუთრებაში, დამატებითი პირობის გარეშე გაიცა 199,1 ათასი ლარის ნორმატიული ღირებულების ავტონომიური რესპუბლიკის ქონება და ბიუჯეტიდან არაეფექტურად გახარჯა 135,1 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2009 წლის 17 ივლისის N102 ბრძანებით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, შპს „HESTOK BATUMI“-ს საკუთრებაში გადაეცა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი 16892.5 ათასი ლარის ნორმატიული ღირებულების უძრავი ქონებები. 2009 წლის 29 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, მყიდველს, სხვა ვალდებულებებთან ერთად დაეკისრა, შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 45 თვის ვადაში, არსებული საპროექტო დოკუმანტაციის პირველი ვარიანტის შესაბამისად, საბაგირო გზის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა,

საპროექტო დოკუმენტაციის პირველი ვარიანტი, ქ. ბათუმის მერიის დაკვეთით შემუშავებულია 2007 წელს ლონდონის საპროექტო კომპანია „Chassay+last Architects“-ის მიერ და თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 30 იანვრის N4 განკარგულების შესაბამისად, სავალდებულო შესასრულებელ პირობად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, შპს „HESTOK BATUMI“-ის მიერ შემუშავებული იქნა საბაგირო გზის ახალი გემა, რომელიც თავსებადი აღმჩნდა ქ. ბათუმის განაშენიანების გეგმასთან², თუმცა მისი ერთ-ერთი შუალედური ხიმინჯის განთავსების ადგილად შერჩეული იქნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სადაც განთავსებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანძა, რომლის მშენებლობაც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელდა 2011 წლის თებერვლში.

2011 წლის აგვისტოში, „HESTOK BATUMI“-ის მიერ შემუშავებული საბაგირო გზის გეგმა მიჩნეულ იქნა აუცილებელ და უალტერნატივო პირობად³ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება ახლად აშენებული ანძის დემონტაჟისა და ახლის მშენებლობის შესახებ. აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, გამოუყენებლობის მოტივით ბალანსიდან ჩამოწერილია 135,1 ათასი ლარის ღირებულების აქტივები და ამასთან, შპს „HESTOK BATUMI“-ს, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 ლარში⁴, დამატებით გადაეცა 199,1 ათასი ლარის ნორმატიული ღირებულების ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონება.

² ქ. ბათუმის მერიის 2011 წლის 26 ივლისის N04-03/11264 წერილი

³ ქ. ბათუმის მერიის 2011 წლის 15 აგისტოს N25-02/2838 წერილი

⁴ აჭარის ა.რ. მთვარობის თავმჯდომარის 2012 წლის 13 თებერვლის N37 ბრძანება

4. სახელშეკრულებო პირობების არაკანონიერად განსაზღვრის გამო, ბიუჯეტში თავისდროულად ვერ იქნა მობილიზებული 104,0 ათასი ლარი.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2012 წლის 4 ივლისის N176 ბრძანების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დაბა ხელვაჩაურში მდებარე 4003 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი პრივატიზება განხორციელდა პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით. აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე, 2012 წლის 30 ივლისს გაფორმდა N20 ნასყიდობის ხელშეკრულება თეა ბარათაშვილთან, რომლის შესაბამისადაც საპრივატიზებო საფასურმა 149,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ერთადერთ პირობად კი განისაზღვრა - საპრივატიზებო თანხის ნაწილის 72,5 ათასი ლარის(ბეს ჩათვლით), 2012 წლის 25 დეკემბრამდე და დარჩენილი თანხის ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 1 წლის ვადაში გადახდა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უპირობო აუქციონის შემთხვევაში, საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადა 30 კალენდარულ დღეს შეადგენს. მოცემულ შემთხვევაში ბიუჯეტში თავისდროულად ჩარიცხულია მხოლოდ, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/“ბეს“ თანხა - 45,0 ათასი ლარი. 2012 წლის 25 დეკემბერს ბიუჯეტში ჩარიცხულია 27,5 ათასი ლარი და შესაბამისად 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადასახდელია 76,5 ათასი ლარი.

საპრივატიზებო თანხის გადახდის შესახებ მყიდველის ვალდებულების, საპრივატიზო პირობად დაფიქსირების შედეგად, დარღვეული იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი, რის შედეგადაც ბიუჯეტში თავისდროულად ვერ იქნა მობილიზებული 104,0 ათასი ლარი.

5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში, პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვის გამო, სამ შემთხვევაში ვერ ხერხდება ხელშეკრულების მოშლა და ქონების საკუთრებაში დაბრუნება. ამასთან აღსანიშნავია, რომ აუდიტის სამსახურის მიერ წინა წლებში გაცემული რეკომენდაციებისა და ზემოთ აღნიშნული უარყოფითი შედეგების მიუხედავად, 2012 წელსაც ადგილი აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმღინარეობის პერიოდისათვის, მყიდველზე გადაცემული ქონების იპოთეკით დატვირთვის ფაქტებს.

ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში, პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვის გამო, ვერ ხერხდება ქონების საკუთრებაში დაბრუნება.

/

**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის აწარის**

ობიექტის დასახელება	მყიდველი	ვალდებულების შესრულების დარღვევა	ქონების იპოვებით დატვირთვის თარიღი	შენიშვნა
აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული სს „აჭარის კურორტების“ 100%-იანი და სს „მესხეთის“ 52,83%-იანი აქციათა პაკეტი	შპს „აჭარა რიზორთს პოლდინგ ბი.ვი“	01.09.2011	08.04.2008	სამინისტროსთან შეთანხმებული არ არის
ქ. ქობულეთში მ. აბაშიძის ქ N102-ში მდებარე მეცნიერებათა შემოქმედებითი სახლის დაუმთავრებელ მშენებლიბა საერთო ფართით 11895,5 კვმ და მასზე დამაგრებული 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთი	ივანე მარტიაშვილი	24.10.2008	18.10.2007	სამინისტროსთან შეთანხმებული არ არის
ქ. ქობულეთში თამარ მეურის სანაპირო N74-ში მდებარე ყოფილი N1 მუსიკალური სკოლის შენობა ფართით 451,1 კვმ და მასზე დამაგრებული 1050 კვ.მ მიწის ნაკვეთი	ნოდარ ბერიშვილი	29.11.2010	29.06.2008	სამინისტროსთან შეთანხმებული არ არის

ამასთან აღსანიშნავია, რომ მიუხედავად აღნიშნულისა, აუდიტის პერიოდშიც ადგილი აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის პერიოდისათვის, მყიდველისათვის გადაცემული ქონების იპოთეკით დატვირთვის ფაქტებს. კერძოდ:

ობიექტის დასახელება	ნაციონალური საქართველოს გაფორმების თანიღი და მყიდველი	ვალდებულების შესრულების დარღვევა	იმოუტანების გადების ან აღორების ხელშეკრულების თარიღი	შენიშვნა
ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობებისა და მასზე დამაგრებული 2522,27 კვ.მ მიწის ნაკვეთი	2.07.2008 შპს „ქრონვეისი“	2.10.2013	4.10.2012	
ქ. ბათუმში, კობალაძისა და ინასარიძის ქუჩების კეთილ მდებარე დაუმთავრებელი შენობა და მასზე დამაგრებული 2884 კვ.მ მიწის ნაკვეთი	01.11.2010 შპს „აზი - XXI“	01.02.2015	27.08.2012	
ქ. ბათუმში, ლეველიძის ქ. №-ში მდებარე 1211.41 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 753 კვ.მ მიწის ნაკვეთი	02.02.2011 არტურ მურადიანი	2.02.2012	3.05.2012	გალდებულების შესრულებლობისათვის ერიცხვისა ჯარიმა დღემზ 263,18 ლარი
აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული ქონების სს „გომარდულისათვის“ პირდაპირი მიყოდვის ფორმით პრივატულების შესახებ	02.05.2012 სს „გომარდული“	20.12.2013	27.11.2012	
დაბა ქედაში, 9 არილის ქN8-ში მდებარე 2015,15 კვ.მ შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 6559 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დაწინაურების მიწის ნაკვეთი	10.05.2012 შპს „იმერი“	10.05.2017	25.05.2012	

6. ადგილი აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტებს.

- ფარმაცევტული კომპანია შპს „ბიოპოლუსთან“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომაროს 2011 წლის 23 ივნისის N105 ბრძანების საფუძველზე, 2011 წლის 30 ივნისს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, 186,7 ათასი ლარის ღირებულების ქონება, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 104,0 ათას ლარად გადაეცა შპს „ბიოპოლუს“ შემდეგი პირობებით:

- მყიდველი ვალდებულია საპრივატიზებო თანხის 30% გადაიხადოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი საპრივატიზებო თანხა გადაიხადოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვის ვადაში;

- მყიდველი ვალდებულია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში აღნიშნულ ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით მოაწყოს

ბრტყელფოთოლა ხარისშუბლას მიღებისა და შუალედური გადამუშავების პუნქტი (ნედლეულის აწონვის ადგილი, საშრობი ტერიტორიის მოწყობა, მშრალი ნედლეულის შესანახი საწყობი, ნედლეულის საჭრელ-დასაფასოებელი უბანი და დაფასოებული მზა ნედლეულის შესანახი საწყობი) და სხვა.

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის შემდეგ ქონება, სამინისტროს თანხმობით დატვირთული იქნა იპოთეკით სს „რესპუბლიკა ბანკის“ სასარგებლოდ, ხოლო 2011 წლის 26 დეკემბერს და 2012 წლის 10 მაისს წარმოდგენილია შპს „ექსპერტი XXI“ -ის აუდიტორული დასკვნები, შპს „ბიოპოლუსის“ მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების შესახებ. აუდიტორული დასკვნებთან დაკავშირებული მასალები (სურათები შესრულებული სამუშაოების შესახებ) საფუძვლიან ეჭვს ქმნის, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, 2013 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საპრივატიზებო თანხიდან გადახდილია მხოლოდ 31,2 ათასი ლარი, რაც აღნიშნულ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით დამატებით რისკფაქტორს წარმოადგენს.

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2006 წლის 14 თებერვლის N15 ბრძანების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის ფორმით კომპანია „აჭარა რიზორთს პოლდინგ ბი.ვი“-ს გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული სს „აჭარის კურორტების“ 100%-იანი და სს „მესხეთის“ 52,83%-იანი აქციათა პაკეტი, რაზედაც 2006 წლის 18 თებერვალს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება შემდეგი ვალდებულებით:

ა. საინვესტიციო თანხის მთლიანი ოდენობა განისაზღვრა 17,5 მილიონი აშშ დოლარით.

ბ. სს „აჭარის კურორტების“ საწესდებო კაპიტაში რიცხულ შენობა-ნაგებობებში და სს „მესხეთში“ შესახლებული იმულებით გადაადგილებული პირების გამოსახლება (საკომპენსაციო თანხა თითოეულ ოჯახზე 7,0 ათასი აშშ დილარის ექვივალენტი ლარი)

გ. სს „აჭარის კურორტების“ საწესდებო კაპიტალში რიცხული შენობა-ნაგებობებში 36 თვის ვადაში უნდა განეხორციელებინა დასასვენებელი კომპლექსის, ჯანმრთელობის რეაბილიტაციის, გასართობი, ტურისტულ რეკრეაციული პროფილის მქონე ან/და მათთან გათანაბრებული დანიშნულების ობიექტების ექსპლუატაციაში შეყვანა.

ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესრულებულია: სს „მესხეთში“ შესახლებული იმულებით გადაადგილებული პირების გამოსახლებისა და კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, ყოფილ სასტუმრო „მედეას“ ტერიტორიაზე აშენებული და ექსპლუატაციაში მიღებულია სასტუმრო „Radisson Blu Hotel“, ხოლო კომპანიის მიერ პრივატიზებულ დანარჩენ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის საჯარიმ სანქციების გაუთვალისწინებლობის გამო, სამინისტროს არ აქვს პირგასამტეხლოს დარიცხვის უფლება. ამასთან, სს „აჭარის კურორტების“ საკუთრებაში არსებული ყველა უძრავი ქონება, ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებით,

დატვირთულია საბანკო იპოთეკით და წარმოადგენს უფლებრივად ნაკლის მქონე ქონებას.

7. 2013 წლის 23 აპრილის მდგომარეობით, სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობისათვის, პირგასამტებლოს სახით დარიცხულია 48931,6 ათასი ლარი და 1401,0 ათასი აშშ დოლარი, თუმცა მათი ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებისათვის ქმედითი ღონისძიებები არ არის გატარებული.

8. გამოვლინდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას საკვალიფიკაციო მონაცემების არასამართლიანად განსაზღვრის ფაქტები

სამინისტროს მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით (SPA120022913; SPA120000362) 2 შემთხვევაში შესყიდულია აუდიტორული მომსახურება, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულებაც 45,0 ათას ლარს შეადგენდა. ტენდერების ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, პრეტენდენტების შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2011 წლის განმავლობაში უძრავ-მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ არანაკლებ 100 აუდიტორული დასკვნის არსებობა, რაც არ შეიძლება ჩათვლილი იქნას შერჩევის ეფექტურ კრიტერიუმად და მიგვაჩნია, რომ არათანაბარ პირობებში აყენებს სხვა ანალოგიური საქმიანობით დაკავებულ კომპანიებს და ზღუდავს კონკურენციას⁵. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად დასახელდა შპს „საკონსულტაციო ჯგუფი R.G”, რომელიც სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად წინა წლებშიც ასრულებდა ანალოგიურ სამუშაოებს და რომელსაც 2011 წელს სამინისტროზე მიწოდებული აქვს 128 აუდიტორული დასკვნა უძრავ-მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ.

9. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2 შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაუარესებულია შემსყიდველის პირობები⁶.

• თამარის დასახლებაში მშენებარე ორი ცხრა სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოცხადებულ ტენდერში (SPA120011013), საუკეთესო ღირებულების დაფიქსირების მიუხედავად, შპს „თექ-ევ ინშაათ დეკორასიონ თააპ.იჩვე დიშ თიჯ“ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის არასრულყოფილად წარმოდგენის გამო, დისკვალიფიცირებული იქნა. შესაბამისად, ხელშეკრულება გაფორმდა მომდევნო პოზიციაზე მყოფ შპს „NAREM CMB“-თან (ს/კ 445387830), შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება 4 849,0 ათასი ლარით, ხოლო მიწოდების ვადად კი 2012 წლის 20 დეკემბრამდე პერიოდი განისაზღვრა.

⁵ შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნები

⁶ შეუსრულებელიასახლმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 20-ე მუხლის 1 და მე-2 პუნქტის მოთხოვნები

2012 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების ოქმი N2 საფუძველზე, ხელშეკრულებაში შესული ცვლილებებით მნიშვნელოვნად შეიცვალა სახარჯთაღრიცხვო მონაცემები. კერძოდ: ორივე კორპუსის მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტების კედლებისა და გადახურვის ფილის მოწყობის სამუშაობში (ფარული სამუშაოები) A3 კლასის არმატურის მოცულობა გაიზარდა 96,34 ტონით (თითოეულზე 48,17 ტონა), რის შედეგადაც ამ სამუშაოების ღირებულება 123,2 ათასი ლარით გაიზარდა. აღნიშნული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტის ტექნიკურ და კონსტრუქციულ ნაწილზე არსებობს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ დასკვნა, მშენებლობისათვის საჭირო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, თუმცა პროექტში შესული მაშტაბური ცვლილებების სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტის მიერ არ არის დადასტურებული. ხარჯთაღრიცხვებაში განხორციელებული ცვლილებები, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მაღალი რისკის მატარებელ გარემოებად უნდა იქნას შეფასებული. მშენებლობა 2012 წელს არ დასრულებულა.

• ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე ოთხ სართულიანი საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოები სამინისტროს მიერ შესყიდულია ელექტრონული ტენდერის საშუალებით (SPA120008452). ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „სამშენებლო კომპანია ბათუმი“, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების⁷ თანახმად სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 690,0 ათასი ლარი. 2012 წლის 3 აგვისტოს, მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 31,6 ათასი ლარით და 721,6 ათასი ლარი შეადგინა,

განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა შესასრულებელი სამუშაოების დასახელებები⁸, მოცულობები⁹, სამუშაოების ღირებულება და მთლიანად ამოღებულ იქნა III თავი(ზეტონის კიბის პანტუსის მოწყობა ცენტრალურ შესასვლელში და საფეხურისა და დაქანების მოპირკეთება ბეტონის დეკორატიული ფილებით). აქვე აღსანიშნავია, რომ დანართი N2-ის II თავის მე-10 პუნქტით (ტიხრების მოწყობა აგურით) გათვალისწინებული სამუშაოების ერთეულის ღირებულება 23,5 ლარიდან გაიზარდა 165 ლარამდე, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა კი 235კუბ.მ -დან შემცირდა 70კუბ.მ-დე და ამასთან, 6,1 ათასი ლარით გაიზარდა აღნიშნული სამუშაოების ღირებულება. ასევე ტიხრებისა და საკვამურების არსებული აგურის გამოყენებით მოწყობის სამუშაოები შეიცვალა საკედლე ბლოკით ტიხრების მოწყობის სამუშაოებით სადაც 1 კუბ.მ ბლოკის (10X20X40) ღირებულება განისაზღვრა 145,6 ლარით, მაშინ როცა იმავე ხარჯთაღრიცხვით სხვა სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული ბლოკის (20X20X40) –ის ღირებულება განსაზღვრულია 44,85 ლარით.

ანალოგიური მდგომარეობაა შუახევის მუნიციპალიტეტში მდებარე ოთხ სართულიანი საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაში (SPA120009912, შემსრულებელი შპს „სამშენებლო კომპანია

⁷ ხელშეკრულება N121 23 აპრილი 2012 წელი.

⁸ დანართი N2. II თავი პუნქტი 6; 8;

⁹ დანართი N2. I თავი პუნქტი 9; II თავი პუნქტი 1; 8; 10; 21; IV თავი პუნქტი 3; 6.

ბათუმი“), სადაც მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე დანართი N2-ის II თავის მე-10 პუნქტით (ტიხების მოწყობა აგურით) გათვალისწინებული სამუშაოების ერთეულის ღირებულება 30,0 ლარიდან გაიზარდა 145,6 ლარამდე, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა კი 265კუბ.მ-დან შემცირდა 221კუბ.მ-დე და ამასთან 24,2 ათასი ლარით გაიზარდა აღნიშნული სამუშაოების ღირებულება.

პირობითი მოსაზრება

აუდიტის დეპარტამენტის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მომზადებაულია „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 15 აპრილის N241 ბრძანების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები

ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები

შიდა კონტროლების სისუსტეები:

სამინისტროში დანერგილი სუსტი შიდა კონტროლის სისტემა განაპირობებს მისი ფუნქციონირების არასაკმარის ხარისხს, რაც გამოიხატება შემდეგი ნაკლოვანებების სახით:

1. სამინისტროში, საქონლის სახელმწიფო შესყიდვების ყველა ეტაპს - ტენდერის გამოცხადებას, საქონლის მიღებას, აღრიცხვას და შემდგომ თანამშრომლებზე მის განაწილებას ახორციელებს ბუღალტერული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი, რაც წარმოშობს ავტორიზაციის რისკს.

2. ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე არასათანადო კონტროლის დაწესების ფაქტებს. კერძოდ:

- 2007 წლის 14 დეკემბერს, პირობიანი აუქციონის ფორმით ნოდარ ბერიშვილის მიერ პრივატიზებული იქნა ქ. ქობულეთში, თამარ მეფის სანაპირო N74-ში მდებარე 451,1 კვ.მ ფართის ყოფილი N1 მუსიკალური სკოლის შენობა და მასზე დამაგრებული 1050 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 2010 წლის 29 ნოემბერს დასრულდა ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულების შესრულების ვადა, თუმცა ამის შესახებ სამინისტროს წერილობითი შეტყობინება გაგზავნილი აქვს მხოლოდ 2012 წლის 17 აპრილს ანუ 16 თვის შემდეგ.

- 2011 წლის 8 სექტემბერს, ფიზიკური პირის სულიკო თურმანიძის მიერ პრივატიზებული იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარში მდებარე 784,1 კვმ შენობა-ნაგებობა და 802 კვმ მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პერიოდში, 2012 წლის 4 მაისს, მოხდა აღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვა, რის შესახებაც სამინისტროს ნებართვა არ გაუცია.

ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გადასახადი
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გადასახადის სახით,
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებში დაგვიანებითაა გადახდილი 8,7
ათასი ლარი;

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-⁷⁴ მუხლის საფუძველზე, აუდიტის პერიოდში, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი ნორმატიული აქტებით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინების მოტივით, 12 შემთხვევაში, კერძო სამართლის იურიდიული პირები გათავისუფლდნენ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისგან. აღნიშნული ნორმატიული აქტების შესაბამისად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის ერთჯერადი გადასახდელის სახით გათვალისწინებული 167,2 ათასი ლარიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებში 2012 წელს ჩარიცხულია 158,5 ათასი ლარი ანუ 8,7 ათასი ლარით ნაკლები. აუდიტით დადგენილია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 12 სექტემბრის N312 ბრძანებით, შპს „რალი-კონტინენტალის“ მიერ 50,0 ათასი კუბ.მ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისათვის გადასახდელად განსაზღვრული 8,7 ათასი ლარის გადახდა, ნაცვლად 2012 წლის 1 სექტემბრისა განხორციელებულია 2013 წლის 29 მარტს.


საწარმოთა მართვა

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების რაოდენობამ შეადგინა 97 ერთეული. 2011 წლის განხილული შედეგებით, მომგებიანად დაფიქსირებულია 16 საწარმო, ანუ 16,5 პროცენტი ხოლო 11 საწარმოს 2011 წელში არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

2012 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში დივიდენდის სახით ჩარიცხულია 1307,4 ათასი ლარი. ამასთან არ განხილულა 2 კომპანიაში წინა წლებში დატოვებული წმინდა მოგების თანხების დივიდენდების სახით წამოღების საკითხი. კერძოდ: ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის

რეგიონალურ ცენტრში" - 241,1 ათასი ლარი და შპს „N1 პოლიკლინიკაში" – 53,7 ათასი ლარი.

**საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები 2008-2011 წლებში
(ათასი ლარი)**



როგორც ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობას 2011 წლამდე კლების ტენდენცია ახასიათებდა. 2011-2012 წლებში ზრდა ძირითადად გამოწვეულია შპს „სავაჭრო ცენტრი 2009"-ს მიერ ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხებით, რომელმაც 2011 წელს 740.0 ათასი ლარი, (ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 67,2 %), ხოლო 2012 წელს კი- 627,1 ათას ლარი (ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 48 %) შეადგინა.

2012 წელს დივიდენდის სახით ბიუჯეტში გადახდილია

N	დასახელება	თანხა	შენიშვნა
1	შპს "აჭარის სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური"	18194	
2	შპს "ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდასისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი"	22954	
3	შპს "აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი"	514224	პრივატიზაციის შედეგად დივიდენდის სახით გადასდილი თანხა
4	შპს "ქ. ბათუმის #1 პოლიკლინიკა"	13303	
5	შპს "ბათუმის სამშობიარო სახლი"	45000	პრივატიზაციის შედეგად დივიდენდის სახით გადასდილი თანხა
6	შპს "ქ. ბათუმის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი"	37497	
7	შპს "აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი"	6634	
8	შპს "ფლორა 2009"	5078	
9	შპს "ვიქტორია"	9738	
10	შპს "ხულოს სამედიცინო ცენტრი"	7676	
11	შპს "სავაჭრო ცენტრი 2009"	627124	
	ჯამი	1307422	

პრივატიზაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით 2012 წელს პრივატიზებულია სულ 64 ობიექტი. მათ შორის: 37-პირდაპირი მიყიდვის, 11- პირობიანი აუქციონის და 16- უპირობო აუქციონის ფორმით. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა 82 ობიექტის პრივატიზებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი. ამასთან, აღნიშნული საქმეებიდან 9 საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით გადაცემულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურზე. კერძოდ:

N	საქმის დასახელება	მყიდველი
1	შპს „ქ. ბათუმის N3 საცადმყოფოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 100% წილი	შპს „ლადაბლია“
2	ქ. ბათუმში, თამარის დასახლება, თამარ მეურის გზატკეცილზე მდებარე დაუმტვარებელი მშენებლობა და მასზე მიმაგრებული 22566 კვ.მ მიწის ნაკვეთი	შპს „GEORGIA INN“
3	ქ. ბათუმში გოგრძაშვილის ქ #30 მდებარე შენობა-ნაგებობა (1799 კვ.მ) და მასზე მიმაგრებული 1362 კვ.მ მიწის ნაკვეთი. (მეზღვაურთა საავადმყოფო)	შპს „გოგებაშვილი 30“
4	აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული სს „აჭარის კურორტების“ 100%-იანი და სს „მესხეთის“ 52,83%-იანი საკიათა პაკეტი. ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N1	შპს „აჭარა რიზორტ ჰოლდინგ BB.V“
5	ქ. ბათუმში ლესელიძის ქ #6-ში მდებარე 1211,41 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 753 კვ.მ მიწის ნაკვეთი	არტურ ბურადიანი
6	ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ N10/12-ის მიმდებარე მდებარე 1621 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს "ADOG-GEORGIA"
7	ქ. ბათუმში, ს. ხიმშელშვილის ქუჩის მიმდებარე დანიშნულების მიწის ნაკვეთი შორის მდებარე 9900 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დაცულის მიწის ნაკვეთი	შპს „ეს დაბლიუ-ინნ“
8	შპს „ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრის“ და შპს „ბათუმის სამშობარო სახლის“ 100%-იანი წილი.	შპს „ავანტე“
9	აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, შავშეთის/გოგებაშვილის ქ. N2,4,6/60 მდებარე 4706,21 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 5196 კვ.მ მიწის ნაკვეთი	შპს „მერსინ ტურიზმი“

პირდაპირი მიყიდვა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთვარობის თავმჯდომარის განკარგულებების საფუძველზე, სააუდიტო პერიოდში პირდაპირი მიყიდვის ფორმით 39 შემთხვევაში 55 888,2 ათასი ლარის ღირებულების ქონების პრივატიზება განხორციელებულია 6 853,8 ათას ლარად. მათ შორის 29 შემთხვევაში 40615,6 ათასი ლარის ქონება პრივატიზებულია სიმბოლურ ფასში - 1 ლარად. ამასთან აღსანიშნავია, რომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების პრივატიზებისას არა შემუშავებული პრიორიტეტული მიმართულებები და საკითხთან მიმართებით ფიქსირდება არაერთგვაროვანი მიდგომა. მაგალითად : 2012 წელს პირობიანი აუქციონის ფორმით, 463,5 ათას ლარად (საწყისი ღირებულება -450,0 ათასი ლარი) პრივატიზებულია შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოლოგიის ცენტრი“ რომელის საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა: ცენტრის რეაბილიტაცია, ჯანდაცვის პროგრამებში მონაწილეობა, პროფილის შენარჩუნება, დივიდენდის - 515,8 ათასი ლარის გადახდა, მაშინ როცა შპს „BROTHERS“ მრავალფუნქციური საავადმყოფოს მშენებლობისა და მოქალაქეთა დასაქმების პირობით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასში -1 ლარად გადაეცა, ქ. ბათუმში გენერალ აბაშიძისა და ბაგრატიონის


ქუჩების კვეთაში მდებარე 1620,5 ათასი ლარის ღირებულების 15005 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

პრემიები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მუხლით განესაზღვრა 1862,5 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული საშტატო განრიგით განსაზღვრულ თანამდებობრივი სარგოს 17 ოდენობას შეადგენს. დამტკიცებული საშტატო განრიგის გათვალისწინებით აღნიშნული თანხიდან თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1300,8 ათას ლარს, ხოლო საპრემიო ფონდი კი - 561,7 ათას ლარს. სააუდიტო პერიოდში, საშტატო განრიგში და შესაბამის ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ფონდი გაიზარდა 334,0 ათასი ლარით და 2196,5 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის თანამდებობრივი სარგო შემცირდა 3,7 პროცენტით და 1252,5 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საპრემიო ფონდი გაიზარდა 68 პროცენტით და 944,0 ათასი ლარი შეადგინა. ანალოგიური მდგომარეობაა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურშიც სადაც წლის დასაწყისისათვის დამტკიცებული თანამდებობრივი სარგო არ შეცვლილა, ხოლო საპრემიო ფონდი კი გაიზარდა 85,8 პროცენტით.

შრომის ანაზღაურების მუხლში საპრემიო ფონდის აღნიშნული რაოდენობით გათვალისწინებისა და შემდგომ მისი ზრდის განმსაზღვრელი რაიმე სახის დოკუმენტი აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

2012 წელს გაცემული პრემიები თვეების მიხედვით შემდეგი დინამიკით ხასიათდება



წინასწარ გადახდები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახაზინო სამსახურის მონაცემებით, სააუდიტო პერიოდში ადგილი აქვს მნიშვნელოვანი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების

წინასწარი გადახდის ფორმით გაცემის ფაქტებს. კერძოდ: 2012 წელს ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების მუხლებით (გარდა მივლინების მუხლით გაცემული თანხებისა) გაცემულია 8898,6 ათასი ლარი. ამასთან, რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს საგადახდო მოთხოვნით გათვალისწინებული ვადის დარღვევით, წინასწარი გადახდის დამოწმების ფაქტებს¹⁰.

სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, ადგილი აქვს სახელშეკრულებო ღირებულების 100 % -ით წინასწარი გადახდის ფაქტებს, რაც სააუდიტო პერიოდში 2070.0 ათას ლარს შეადგენს. ამასთან რიგ შემთხვევებში, ხელშეკრულების საგნისა და შესასრულებელი მომსახურების სპეციფიკის გათვალისწინებით, წინაწარი გადახდის ფორმით საბიუჯეტო სახსრების გაცემა აუცილებლობას არ წარმოადგენს. შესაბამისად, საბანკო მომსახურების შესახებ 2011 წლის 30 დეკემბერს, სს „საქართველოს ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, რაც საბიუჯეტო ანგარიშზე არსებულ მიმდინარე ნაშთზე სარგებლის დარიცხვას გულისხმობს, წინასწარი გადახდის ფორმით სახელშეკრულებო ღირებულების 100 % -ის აუცილებლობის გაუთვალისწინებლად გადახდა, მიზანშეუწონელია.

სახემწიფო შესყიდვები

სამინისტროს მიერ 2012 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორცილებული ცვლილებები სამ შემთხვევაში არ არის ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში. კერძოდ:

N	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის დაწაყოფის დასახელება	სატენდერო განცხადების წომერი	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმწოდებლის დასახელება	შეთანხმების N და გაუმომების თარიღი
1	2	4	6	7	10	11
1	გამარტივებული ტესტერი	გამარტივებული ტესტერი	SPA120002529	ხელშეკრულება N37 01/02/2012	შ.პ.ს. „ექსკლუსივ კონტაქტი“	შეთანხმების ოქმი N1 02.02.2012წ.
2	გამარტივებული ტესტერი	გამარტივებული ტესტერი	SPA120002825	ხელშეკრულება N42 08/02/2012	შ.პ.ს. „გეო-აკტივ“	შეთანხმების ოქმი N1 20.02.2012წ. და N2 02.11.2012წ.
